წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 27

ქ. წალკა; 28.07.2026 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარი ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის).

სხდომა დაიწყო: 10:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 10:10 საათზე;

დღის წესრიგი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 23 ივლისის № GOV 0 26 00024785 მომართვა, სამართლებრივი დასკვნა „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №11 დადგენილებაზე.

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 23 ივლისის № GOV 0 2600024785 მომართვა, სამართლებრივი დასკვნა „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №11 დადგენილებაზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: განსახილველად გაეგზავნოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის 2026 წლის 23 ივლისის GOV 0 26 0024785 მომართვა, რომლის თანახმადაც „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N 32 დადგენილებით დამტკიცებული „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ 35-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 34-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 37-ე მუხლის მე-7 პუნქტი არ შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და არაუგვიანეს მ/წლის 10 აგვისტომდე წარმოადგინოს შესაბამისი დადგენილების პროექტი (განმარტებითი ბარათით), რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმართვაში მითითებული შენიშვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*